შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№1 (9.9911)

8-15 თებერვალი, 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„მზე“, რომელიც იმედით გვაკავშირებს

გვ.3

სოციალურად დაუცველთა შეფასების მეთოდოლოგია იცვლება

საოჯახო მეურნეობა = ჯანსაღ გარემოს და საკვებს

გვ.2

დედოფლის წყაროში ტურიზმის განვითარებაზე იმსჯელეს

გვ.2

საქართველოს მთავრობამ განიხილა და მოიწონა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ვაშლოვანის ეროვნულ პარკში თანამედროვე ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა დაიწყება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტომ, ევროკავშირის პროექტის (ENPARD) ფარგლებში, ფინანსური დახმარების სახით, 190 629 ლარის გრანტი მიიღო. აღნიშნული გრანტით ვაშლოვანის ეროვნულ პარკში თანამედროვე ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა დაიწყება.

ცენტრის მშენებლობაში დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანადაფინანსება 67 150 ლარს შეადგენს. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია დაცულ ტერიტორიაზე არსებული შენობის დემონტაჟი და თანამედროვე სტანდარტების ვიზიტორთა ცენტრის აშენება. ახალი შენობის პირველადი და ძირითადი დანიშნულება სამეცნიერო- კვლევითი იქნება. შესაბამისად, ვიზიტორებს საშუალება ექნებათ, მიიღონ ნებისმიერი ინფორმაცია და კვლევითი მიზნით გამოიყენონ სივრცე. შენობა გამოყენებული იქნება სტუმრების განთავსების მიზნითაც, რაც სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს საშუალებას მისცემს, დაცულ ტერიტორიებზე უმასპინძლოს ქართველ და უცხოელ ვიზიტორებს, სკოლის მოსწავლეებს, ეკობანაკებს, სოციალურად მოწყვლად ჯგუფებს და სხვა.

საქართველოში, საერთაშორისო და ადგილობრივი მოგზაურების ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანია მოგზაურებისა და ვიზიტორებისთვის დაცული ტერიტორიების სასურველ მარშუტებზე ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა ცენტრების მშენებლობის პროცესი მიმდინარეობს. დღეისათვის, ვიზიტორთა ცენტრები სრულად მოწყობილია 18 დაცულ ტერიტორიაზე. 2020 წელს ვაშლოვანის ეროვნული პარკის გარდა, ვიზიტორთა ცენტრი ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკშიც მოეწყობა.

2020 წლის იანვრის თვის მონაცემებით, საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობამ (22 163 ვიზიტორი), 2019 წლის იანვრის თვის მონაცემებთან შედარებით (17 472 ვიზიტორი), 27%-ით მოიმატა. ქართველი ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 17%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 47%-ით.

პრიორიტეტები მოსახლეობამ შეარჩია

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი პროექტების განსაზღვრის მიზნით დედოფლისწყაროს მოსახლეობასთან შეხვედრები დასრულდა. პროგრამის ფარგლებში სოფლის საერთო კრებები ჩატარდა, სადაც პროგრამით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები თავად მოსახლეობამ შეარჩია.

C M Y K

დედოფლიწყაროს ტურიზმის განვითარებაზე იმსჯელეს

2020 წლის 5 თებერვალს, დედოფლისწყაროს ტურისტული მომსახურების ცენტრში, რომლის ხელმძღვანელიც ქალბატონი მანანა ყატაშვილია, დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის წევრთა შეკრება გაიმართა. შეხვედრა დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის ინიციატივით მოეწყო, რომელიც სულ ახლახანს, 2019 წლის 27 მაისს დაფუძნდა. მასში გაწევრიანება ტურიზმის სფეროში ჩართულ ნებისმიერი მოქალაქეს შეუძლია.

ასოციაციის საქმიანობის მიზნებია: ტურიზმის მდგრადი განვითარება რეგიონში; ინფრასტრუქტურის და პროდუქტის განვითარება, მისი პოპულარიზაციის ხელშეწყობა; დაცულ ტერიტორიებთან თანამშრომლობა; მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ტურიზმისა და გარემოს დაცვით საკითხებზე; ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით;

ასოციაციის წევრები არიან: საინფორმაციო და სხვა მომსახურების სერვისების მფლობელები; სასტუმროს მფლობელები; გიდები; ტრანსპორტის მფლობელები;კვების ობიექტების; ტურისტული აღჭურვილობის გაქირავების; სხვა ტურისტული სერვისების წარმომადგენლები; ასოციაცია ატარებს: შეკრებებს, ინფო ტურებს; წევრები მონაწილეობენ: ტურიზმის სფეროში არსებულ ტრენინგებში; საგრანტო კონკურსებში და სხვ;

მომზადების პროცესშია ა(ა)იპ-ის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების და ფინანსური აღრიცხვის შიდა პროცედურების დოკუმენტი. შემუშავდა დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ღონისძიებების გეგმა, რომელიც წარედგინა მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობას, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას და სხვა შესაბამის უწყებებს. გარდა ამისა, **ბიოლოგიური მეურნეობის ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენელმა**, ნანა ქართველიშვილმა განვლილი სამუშაოების ანგარიში და დედოფლისწყაროში და ქვეყანაში არსებული ტურიზმის სტატისტიკა წარმოადგინა. როგორც ცნობილია, ასოციაციის პროგრამული საქმიანობის ერთ-ერთი სფერო სწორედ სოფლის ტურიზმის განვითარებაა. ნანა ქართველიშვილის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, **საქართველოში გასულ წელს 9,357,964 ტურისტი შემოვიდა.** მათი უმეტესობა მეზობელი ქვეყნებიდან იყო. დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე გასულ წელს შემოსული ტურისტების რაოდენობა სხვა წლებთან შედარებით, კლებადია. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისა და ჭაჭუნას აღკვეთილის მონაცემების მიხედვით, **დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე 16,000-ზე მეტი ტურისტი შემოვიდა.** ამ მონაცემებით ისინი დაცული ტერიტორიების ნუსხაში ვიზიტორთა რაოდენობით მე-16 და მე-19 ადგილებს იკავებენ. **ტურისტის საშუალო დანახარჯი კი 1099 ლარია.** ნანა ქართველიშვილმა იმ შემოსავლებზეც ისაუბრა, რომელიც დედოფლისწყაროს ტურიზმს გასულ წელს ჰქონდა. სტატისტიკის მიხედვით, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე ტურისტები 49 სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ, პროპორციულია აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის წილი, თუმცა ვიზიტორთა 57% ქართველია (2018 წ-72% ქართველი). რაც შეეხება ჭაჭუნას აღკვეთილს, ვიზიტორები აქ 22 სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ, პროპორციულია აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის წილი, თუმცა ვიზიტორთა 48% ქართველია (2018წ-40% ქართველი). საბოლოოდ, ვაშლოვანის ნაკრძალის შემოსავალი - 94,247, ხოლო ჭაჭუნას აღკვეთილის შემოსავალი კი - 4,840 ლარმა შეადგინა. 1 კაცის საშუალო დანახარჯი პირველ შემთხვევაში - 8,97 ლარი, მეორე შემთხვევაში კი - 1,58 იყო. ამ მონაცემებს დამსწრე საზოგადოების მხრიდან გარკვეული გაოცება მოჰყვა, რადგან მათი თქმით ეს რეალობასთან გარკვეულ წილად შეუსაბამობაში მოდის. მათ აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტში ტურისტები მატება თუ არა, საგრძნობი კლება მაინც არ ყოფილა. მომზადებულ ანგარიშში ასევე წარმოდგენილი იყო ტურისტული მომსახურების მიმწოდებლები: 6 კაფე - რესტორანი და ასევე 2 საბანკეტო დარბაზი; 5 გიდი; 4 დელიკა და 4 ჯიპი; 1 ცხენების გაქირავება - სოფ. კასრიწყალში;1 აღჭურვილობის გაქირავება; ხალხური რენესანსი - „არტ-სტუდიო - ფესვები“; ზაზა ალადაშვილის სამჭედლო; გონაშვილების მარანი, ნასრაშვილების მარანი; ფოლკლორული ჯგუფები; კოლხური ხოხბის ცენტრი/საპიკნიკე; ტურისტული ბიურო;

დისკუსია მოეწყო ასევე დედოფლისწყაროში ტურიზმის განვითარებასა და მასთან დაკავშირებული პრობლემებისა თუ გამოწვევების შესახებ. განიხილეს დედოფლისწყაროში ტურიზმის განვითარების პერსპექტივები, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. დისკუსიამ გამოავლინა, რომ დედოფლისწყაროს მრავალფეროვანი ტურების რესურსი გააჩნია. აქვს ასევე ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაც. ამასთანავე მაღალია სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასევე ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების რაოდენობაც, სადაც დაახლოებით 2 მილიონამდე ლარის ინვესტიციაა ჩადებული. გამოწვევებია ტურისტულ ადგილებამდე მისასვლელი გზები, საზოგადოებრივი საპირფარეშოები, მყარი ნარჩენების მართვა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული ცხოველები. განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები კი ასე ჩამოყალიბდა: ხალხის დაბალი ცნობადობა, ინტერნეტში მუნიციპალიტეტზე მასალის სიმცირე, ტურისტული მარშრუტების არასათანადო მონიშვნა, კულტურის ძეგლებზე საინფორმაციო აბრების არ არსებობა. ასევე აღინიშნა ტურისტული მარშრუტების დივერსიფიცირების აუცილებლობის მნიშვნელობა. ასოციაციის წევრების აზრით, საჭიროა ახალი ტურისტული მარშრუტების ათვისება და გამრავალფეროვნება, რათა არ მოხდეს მთელი სისტემური რესურსის ერთი კონკრეტული ადგილისკენ მიმართვა (კერძოდ, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები). ასათვისებელ ადგილებად კი არხილოსკალოს ნეფროლოგიური სანატორიუმი,ხორნაბუჯის ციხე და ელიის მთა,კულტურისა და დასვენების პარკი და ქოჩების ტბა დასახელდა. დედოფლისწყაროს ტურისტული მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელმა მანანა ყატაშვილიმა ასევე დააანონსა ესტონეთის სოფლის ტურიზმის ასოციაციის ვიზიტი დედოფლისწყაროში,

რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარების კუთხით. შეხვედრაზე ასევე წარადგინეს ახალი ვებ გვერდი dtda.ge - დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის ონლაინ პორტალი, რომელიც ამჯერად სატესტო რეჟიმში მუშაობს. მასში განთავსებულია ყველა ის ძირითადი ინფორმაცია, რომელიც ტურისტს გაუადვილებს დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე დასვენებასა და გადაადგილებას. ასოციაციის წევრები იმედს იტოვებენ, რომ დასახული სამომავლო გეგმები უკეთესობისკენ შეცვლის დედოფლისწყაროში ტურიზმის მდგომარეობას და გაცილებით მიმზიდველს გახდის მუნიციპალიტეტს როგორც ერთდღიანი, ასევე ხანგრძლივი დასვენების მსურველთათვის. ასოციაციის წევრები ასევე შეჯერდნენ იმაზეც, რომ საჭიროა ერთობლივი, კოორდინირებული და შეთანხმებული ურთიერთთანამშრომლობა ტურიზმის სფეროში ჩართულ ნებისმიერ წარმომადგენელს შორის.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

საოჯახო მეურნეობა = ჯანსაღ გარემოს და საკვებს

ფერმერ ქალთა ასოციაცია, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გახორციელებული პროექტის ფარგლებში (“გენდერულად თანასწორუფლებიანი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“), 5 თებერვალს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შეხვდა.

პროექტის მიზანია: საოჯახო მეურნეობების შესახებ საზოგადოების აზრის განსაზღვრა;

ფერმერი ქალებისა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება ფერმერული მეურნეობისა და გარემოსდაცვის მიმართულებით.

ფერმერ ქალთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ირინა ფხოველიშვილმა ისაუბრა თანამედროვე გამოწვევებზე და აღნიშნა, რომ საოჯახო მეურნეობების განვითარება ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისა და გარემოს დაცვის ერთგვარი გარანტორიცაა: ***„ისინი სურსათის უვნებლობის მთავარი გარანტორები არიან და სოფლის მეურნეობის სექტორში გარემოს გრძელვადიანი დაცვისთვის გაცილებით მეტი მოტივაცია აქვთ, ვიდრე სხვა სახის მეურნეობებს. FAO-ს კვლევების თანახმად, მსოფლიოში 570 მილიონი ფერმერული მეურნეობიდან 500 მილიონი საოჯახო მეურნეობაა“***. სამწუხაროდ, საქართველოში სხვა ვითარებაა და სტატისტიკაც სავალალოა:

მისი ინფორმაციით, ქართულ ბაზარზე ადგილობრივ პროდუქციას მხოლოდ 18 % უკავია, დანარჩენი- 82% შემოტანილი პროდუქტითაა გაჯერებული. რაც იმას ნიშნავს, რომ პროდუქტის საეჭვო ხარისხს ეკონომიკური ზარალიც ემატება-ქვეყნის ვალუტის დიდი ნაწილი გარეთ გადის.

ირინა ფხოველიშვილმა ისაუბრა ასევე უხარისხო შხამ-ქიმიკატების მოხმარებაზე, რომელიც ერთდროულად, ჩვენს ჯანმრთელობასა და გარემოზე ცუდად აისახება. „ტოტალური ჰერბიციდის მოხმარების შეზღუდვა უნდა მოხდეს!“-ასეთი იყო შეხვედრის მონაწილეთა პათოსი, თუმცა, თუ ეს ყველაფერი საკანონმდებლო დონეზე არ მოხდა, მაშინ გამორიცხულია რაიმე რეგულაციების ამოქმედებაზე საუბარი.

„როდესაც ამბობენ, რომ იმატა ონკოლოგიური დაავადებების რიცხვმა საქართველოში, ეს ვიღაცისთვის მოსმენილი ამბავია, ჩვენთვის კი-რეალობა“-

აღნიშნა შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ. იმ რეგულაციების ამოქმედებასთან ერთად, რომელიც აკრძალავს ქვეყანაში ისეთი პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც ჯანმრთელობისთვის საშიში შხამ-ქიმიკატებით იქნება მოყვანილი, პარალელურ რეჟიმში, საოჯახო მეურნეობების გაძლიერების მიზნით, უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება, კერძოდ, საგადასახადო კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილება, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაათავისუფლებს საოჯახო მეურნეობებს გადასახადისგან.

ცნობისთვის, ევროპის ქვეყნებში საოჯახო მეურნეობები დოტაციაზე იმყოფებიან. გლეხური მეურნეობების განვითარების მოტივი გახლავთ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და საკუთარი მოსახლეობის უზრუნველყოფა უსაფრთხო საკვები პროდუქტით.

ქართული სოფლისა და აგრარული წარმოების შემდგომი განვითარებისა (პროექტების განხორციელებით საქართველოში ფერმერული მეურნეობების ნახალისებასა და სოფლად დასაქმების გაუმჯობესებას, მაღალხარისხიანი აგრარული პროდუქციის წარმოებასა და ევროპულ ბაზარზე გატანას ასტიმულირებს. ევროკავშირის მსგავსად, საქართველოშიც, სოფლის მეურნეობის ქართული მოდელის საკვანძო ელემენტად უნდა განვიხილოთ საოჯახო ფერმერული მეურნეობები, რომლებიც, ხშირად, სოფლის მეურნეობაში არასრულად დაკავებული, პლურალური საქმიანობის განმახორციელებელი დივერსიფიცირებული ფერმერული მეურნეობებია.

2017 წლის 22 დეკემბერს გაეროს მიერ მიღებული რეზოლუციით, 2019-2028წლები საოჯახო მეურნეობების დეკადად გამოცხადდა.

ევროპაში ფერმერული მეურნეობების (ჰოლდინგების) 95%-ზე მეტი საოჯახო ფერმერული მეურნეობებია. თავისი მრავალფეროვნებით ისინი ერთდროულად აწარმოებენ კერძო და საზოგადოებრივ საქონელს: ისინი უზრუნველყოფენ ჯანსაღი სურსათის წარმოებას და, ასევე, ქმნიან სამუშაო ადგილებს, ინახავენ სასოფლო ცხოვრების წესს და სასოფლო თემებს, გუნებრივ რესურსებს და ბიომრავალფეროვნებას. ევროკავშირი, თავისი ახალი ერთიანი აგრარული პოლიტიკით გააგრძელებს ხელი შეუწყოს მდგრადი და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის წახალისებას, განვითარებას და გაძლიერებას.

ინგა შიოლაშვილი

კვლავ სამართლის ძიებაში

ნავთობგმოგპოვებელი კომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია-ს“ თანამშრომლები სახელფასო დავალიანების დაფარვას კვლავ ითხოვენ. ამ მიზეზით 100-მდე ადამიანი დედოფლისწყაროში შეიკრიბა. აქციის მონაწილეებმა ჭიშკართან ცოცხალი ჭაჭვი შეკრეს. ამბობენ, რომ ვიდრე დავალიანებები არ ჩაირიცხება, კომპანიას დედოფლისწყაროში ნავთობის მოპოვების და სამუშაოების გაგრძელების საშუალებას არ მისცემენ.

ადგილობრივები ამერიკელი კონგრესმენის მარკუეინ მალენის წერილსაც გამოეხმაურნენ და მას პოლიტიკური უწოდეს. შეკრებილების თქმით, აქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ „ფრონტერას“ გენერალურმა დირექტორმა, რომელიც ამჟამად ამერიკაში იმყოფება, შესაძლოა, შეცდომაში შეიყვანა კონგრესმენი მალინი.

„ჩვენი გენერალური დირექტორი ამერიკაში იმყოფება და კონგრესმენ მალინს არასწორ ინფორმაციას ავრცელებინებს „ფრონტერას“ შესახებ. თითქოს, საქართველოს ხელისუფლება ხელს უშლის ამერიკულ კომპანიების საქართველოში საქმიანობას, რაც არის დიდი სიცრუე და ტყუილი. პირიქით, ხელისუფლება მაქსიმალურად გვეხმარება. სათავე აქედან იწყება, აკეთებენ ისე, რომ პოლიტიკურ ჭრილში გადაიყვანონ, რაც ჩვენთვის სრულად მიუღებელია. ვიღაცას სურს, ეს სიტუაცია სათავისოდ გამოიყენოს. ჩამოვიდნენ აქ და სიტუაციაში ადგილზე გაერკვნენ“, - ამბობენ აქციის მონაწილეები.

კომპანიის მენეჯერის გიორგი ჯანიაშვილის ინფორმაციით, „ფრონტერას“ ხელმძღვანელობა მოიძიებს თანხებს და დავალიანებებს სრულად აანაზღაურებს.

აქციის მონაწილეებს დედოფლისწყაროს მერი შეხვდა. ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, „ფრონტერას“ წინააღმდეგ სახელმწიფოს დავა საერთაშორისო არბიტრაჟში აქვს დაწყებული და იმედოვნებს, რომ პროცესი დასაქმებულების სასარგებლოდ დასრულდება.

კომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ ყოფილი თანამშრომლები 11 თვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას მოითხოვენ. ასეთი სულ 84 ადამიანია. მათი ინფორმაციით, საერთო დავალიანება თითქმის ერთი მილიონი ლარია.

ბოლო ხანს გამართული რამდენიმე საპროტესტო აქციის შემდეგ, კომპანიის ყოფილი თანამშრომლები 3 თებერვალს, დედოფლისწყაროს საკრებულოს შენობაში, შეხვდნენ პროფკავშირების წარმომადგენლებს. „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ ყოფილი თანამშრომელი ივერი წიკლაური ამბობს, რომ აქციების გაგრძელებასთან ერთად სამართლებრივ დახმარებას გაუწევს პროფესიული კავშირების გაერთიანება. პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე ლავრენტი ალანია ამბობს, რომ გაგრძელდება საპროტესტო აქციებიც. თბილისში „ფრონტერას“ სათავო ოფისთან 6 თებერვალს შეიკრიბნენ და სახელფასო დავალიანების გადახდა კიდევ ერთხელ მოითხოვეს.

ბასთან ერთად სამართლებრივ დავას დაიწყებენ: „ჩვენ გვინდა კუთვნილი ხელფასი! ეს არის მთავარი მოთხოვნა. ეს დავალიანება ორი წლის განმავლობაში დაგროვდა. ხელფასებს პერიოდულად არ გვაძლევდნენ - ორი თვე იყო, მერე სამი თვე არ იყო. ჩვენ ვმოქმედებთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებით“.

კომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიამ“ თანამშრომლები სამსახურიდან 2019 წლის დეკემბერში დაითხოვა, რასაც წინ მათი გაფიცვა უძღოდა. გაფიცულები კუთვნილ ხელფასს ითხოვდნენ. მათ წერილობითი საყვედური და კომპანიიდან გათავისუფლების ბრძანებები ფოსტით მიიღეს. „ფრონტერას“ ყოფილი თანამშრომლები აცხადებენ, რომ უკანონოდ გათავისუფლების გამო სასამართლოში იჩივლებენ. ისინი შრომის ანაზღაურების გარდა, სამსახურში დაბრუნებასაც მოითხოვენ.

დედოფლისწყაროში გამართულ შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ „ფრონტერას“ ყოფილ თანამშრომლებს სამართლებრივ დახმარებას გაუწევს პროფესიული კავშირების გაერთიანება. პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე ლავრენტი ალანია ამბობს, რომ გაგრძელდება საპროტესტო აქციებიც. თბილისში „ფრონტერას“ სათავო ოფისთან 6 თებერვალს შეიკრიბნენ და სახელფასო დავალიანების გადახდა კიდევ ერთხელ მოითხოვეს.

პროფესიული კავშირების გაერთიანების ხელმძღვანელის, ირაკლი პეტრიაშვილის ინფორმაციით, გათავისუფლებული თანამშრომლების სამსახურში აღდგენის მოთხოვნით, სასამართლოს უახლოეს დღეებში მიმართავს.

როგორც ირაკლი პეტრიაშვილმა თბილისში, „ფრონტერას“ ოფისთან აქციაზე განაცხადა, მას აქვს ინფორმაცია, რომ კომპანია „ფრონტერა“ დღეს კიდევ 15 თანამშრომელს გაათავისუფლებს სამსახურიდან.

გარდა ამისა, პროფესიული კავშირების გაერთიანება გათავისუფლებულ თანაშრომლებთან ერთად სახელფასო დავალიანების ანაზღაურებასაც ითხოვს. სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებით, სარჩელი სასამართლოში უკვე შეტანილია.

„ჩვენ არ ვართ ის ქვეყანა და ის ხალხი, რომელზეც რაიმე გავლენა შეიძლება მოახდინოს ავტორიტეტული ქვეყნის ბიზნეს ორგანიზაციამ და კონგრესმენების წილ-კილილმა. თურმე ხალხი 11 თვის ანაზღაურებას რომ მოითხოვს, ლოგიკური ყოფილა მათი გათავისუფლება სასამართლოს გზით. ჩვენ ჩვენსას აუცილებლად მივიღებთ, საქართველოს პროფკავშირებს გააჩნია ამის შესაძლებლობა. 84 თანამშრომელი გათავისუფლებულია და დღეს ემატება კიდევ 15 ადამიანი“, — განაცხადა პროფესიული კავშირების გაერთიანების ხელმძღვანელმა, ირაკლი პეტრიაშვილმა.

ამერიკული „ფრონტერა“ საქართველოს ბაზარზეა 1997 წლიდან. მისი და „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ დაფუძნებული კომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“ კახეთის რეგიონში აწარმოებს ნავთობისა და გაზის კვლევა-ძიებისა და მოპოვებით სამუშაოებს. ამ დროისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ეს სამუშაოები სრულად შეჩერებულია.

7 თებერვალს კომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ ყოფილი თანამშრომლები დედოფლისწყაროში მდებარე ნავთობბაზასთან კვლავ შეიკრიბნენ და საპროტესტო აქცია გამართეს.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, ისინი კომპანიას დედოფლისწყაროში მოპოვებული ნავთობის ტერიტორიიდან გატანის უფლებას არ მისცემენ.

აქციის მონაწილეებს ადგილზე კომპანია „ფრონტერას“ სათაო ოფისის წარმომადგენლები დახვდნენ, თუმცა მათ ტერიტორია უკომენტაროდ დატოვეს.

„ადრე შემოგვითვალეს, რომ თუ ჩვენ არ მივცემთ ნავთობბაზიდან ნავთობის გატანის უფლებას და წინააღმდეგობას გავწევთ, პოლიციას გამოიძახებენ და დაგვაკავებენ. ჩვენ რომ თითქმის ერთი წელია, ხელფასი არ გადაგვიხადეს, ეს არაა დანაშაული?“ — აცხადებენ აქციის მონაწილეები.

ამჟამად მხარეებს შორის საერთაშორისო საარბიტრაჟო დავა მიმდინარეობს. „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ამერიკული „ფრონტერასგან“ მოითხოვს სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დაკმაყოფილებას და საკონტრაქტო ტერიტორიის 99%-ის დაბრუნებას. თავის მხრივ, „ფრონტერა“ მოითხოვს 3.5 მილიარდი დოლარის კომპენსაციას.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

„მზე“, რომელიც იმედით გვავსებს

დედოფლისწყაროში რეაბილიტაციის ცენტრი ,,მზე'' გაიხსნა, რომელიც 0-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა ჯანმრთელობაზე იზრუნებს.

ცენტრის გახსნა 1 თებერვალს საზეიმო ვითარებაში მოხდა. ცერემონიაზე სიმბოლური წითელი ლენტი ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ დავით ფხოველიშვილმა ბენეფიციარებთან ერთად გაჭრეს.

დედოფლისწყაროს რეაბილიტაციის ცენტრი საქმიანობას ,,ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის '' ფარგლებში განახორციელებს. ბენეფიციარებს მოემსახურებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დედოფლისწყაროდან და ქ. თბილისიდან.

ცენტრის ხელმძღვანელთა განცხადებით, ,,მზე'' შესაბამისი საჭიროებისა და სტატუსის მქონე ყველა მოზარდზე იზრუნებს , მათ შორის, მეზობელი მუნიციპალიტეტებიდანაც. თუმცა, პირველ ეტაპზე სარეაბილიტაციო კურსს 9 ბენეფიციარი გაივლის.

ია ფიროსმანაშვილი: „სახელმწიფო გასცემს ერთწლიან ვაუჩერს. ვაუჩერი ითვალისწინებს ბენეფიციარებისთვის 8 თვის განმავლობაში მომსახურების სრული პაკეტის მიწოდებას. ერთი თვის განმავლობაში თითოეულ ბენეფიციარს საშუალება ექნება, ჩაიტაროს 14- 22 სეანსი, იმის მიხედვით, თუ მომსახურების რა პაკეტს საჭიროებს ის. ყველა სეანსი მოიცავს თერაპევტის, ნევროლოგის,ფსიქოლოგის მომსახურებას“-აცხადებს რეაბილიტაცია-აბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელი.

დედოფლისწყაროში რეაბილიტაციის ცენტრი ,,მზის'' მისამართია: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ N 18.

ცვლილებები ენერგეტიკის სფეროში

2020 წელი ენერგეტიკის სფეროსთვის ცვლილებებით დაიწყო. რამდენად სასიხარულო ან მისალებია ეს ცვლილებები მოსახლეობისთვის ეს, სავარაუდოდ, წლის განმავლობაში გახდება ცნობილი, როდესაც მოსახლეობა ამას საკუთარ ფინანსებზე დაკვირვებით შეატყობს.

რა ცვლილებებზეა საუბარი?

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) გადაწყვეტილებით, 2020 წლის პირველი იანვრიდან ახალი მომხმარებლისთვის ბუნებრივი აირის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური თვითმმართველ ქალაქებში გაორმაგდა. თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში ახალი მომხმარებელი გაზის (სიმძლავრე 0-6 კვტ) შეყვანაში 400 ლარის ნაცვლად 800 ლარს გადაიხდის. რაც შეეხება დანარჩენ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებს, ეს ტარიფი სემეკმა უცვლელი დატოვა და 400 ლარი იქნება. ქსელზე მიერთების ვადა 40 დღეა. თუმცა, სემეკის ახალი დადგენილებით, „თუ ადგილი აქვს გამანაწილებელ ქსელზე მრავალბინიანი სახლის მიერთებას, ერთობლივი განაცხადით მიმართვის შემთხვევაში, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფის პერიოდი-ვადა განისაზღვრება მიერთების მსურველ(ებ)ის მიერ ერთობლივი განაცხადით მოთხოვნილი ჯამური სიმძლავრის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ მიერთების მსურველ(ებ)ის მიერ ერთობლივი განაცხადით მოთხოვნილი ჯამური სიმძლავრე აღემატება 100 კუბ.მ/სთ-ს, მიერთების უზრუნველყოფის პერიოდი-ვადა შეადგენს 60 სამუშაო დღეს“.

საინტერესოა, თუ რა მომსახურება შედის გადახდილ 800 ლარიან საფასურში?

800 ლარში შედის ქსელზე დაერთება და ამას დამატებითი ერთი წერტილი. რაც შეეხება ყოველი მომდევნო წერტილის დამატებას, აქ საფასურის ოდენობას სემეკი არ არეგულირებს. ძალაში რჩება ქსელზე მიერთების საფასურის განწილვადება (ე.წ. განვადება), თუმცა ასეთ შემთხვევაში, „მიერთების საფასური განისაზღვრება არსებულ მიერთების საფასურზე თვითმმართველ ქალაქებში 50 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) დამატებით, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტებში - 25 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) დამატებით“. „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ შესაბამის დადგენილებაში სემეკმა აღნიშნული ცვლილება 2019 წლის 26 დეკემბერს შეიტანა, რომელიც ძალაში 30 დეკემბერს შევიდა. “ცვლილება ბუნებრივი აირის სექტორს შეეხო, ვინაიდან არსებული საფასურის ოდენობა, შესრულებული სამუშაოების თვითღირებულებიდან გამომდინარე, არარეალური იყო. ამიტომ რეალური საფასურის დადგენა ხელახლა იყო საჭირო. მიზეზი თვითონ სამუშაოების სირთულეებია, მაგალითად, თვითმმართველ ქალაქებში, ძალიან ბევრ ადგილზე, საჭიროა ასფალტის გადათხრა, სხვადასხვა ტექნიკური სამუშაოების ჩატარება (იგივე, ტექნიკის დაქირავება, შეთანხმებები და ა.შ.), რაც სხვა ქალაქებში და მუნიციპალიტეტებში არ დგას დღის წესრიგში“, —განმარტებულია სემეკის პრესსამსახურის მიერ, რომელსაც ონლაინ გამოცემა „ნეტგაზეთის“ ავრცელებს.

„თვითმმართველ ქალაქებში ბუნებრივი აირის ქსელზე ახალი აბონენტის მიერთების ტარიფის გაორმაგება ერთჯერადი გადასახადია და ეხება მხოლოდ იმ ობიექტებს, რომელიც არასდროს იყო მიერთებული გამანაწილებელ ქსელზე,“ - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) რეგულირების განვითარებისა და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორმა, ვანო მეჭურჭლიშვილმა განუცხადა. მისი განმარტებით, ძირითადად ასეთი ობიექტებია სხვადასხვა სახის ახალი მშენებლობები, ეს შეიძლება იყოს საცხოვრებელი, კომერციული ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის ობიექტი. „თვითონ ეს საფასური გულისხმობს ისეთ მომსახურებას, რაც სრული ტექნოლოგიური ციკლით მომსახურებაა და განაწილების ლიცენზიანტს ავალდებულებს, რომ მომხმარებლის, ანუ მიერთების მსურველის მოთხოვნის შესაბამისად მოახდინოს ერთი შეხების კონტაქტით, სრული ტექნოლოგიური ციკლით მომსახურება. ეს მოიცავს როგორც ნებართვის აღებას, ისე ქსელის მშენებლობას, მასალებს, დაპროექტებას. მოგეხსენებათ, რომ განაწილების ლიცენზიანტების საქმიანობა რეგულირებადი საქმიანობაა, მარეგულირებელი კომისია აკვირდება რეალურ დროში ამ მომსახურებას, შემოსავლებსა და ხარჯებს. ამ წლის განმავლობაში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე აშკარად გამოიკვეთა ხარჯების ისეთი არათანაბარი ზრდა, რომელზეც აუცილებელი იყო, მარეგულირებელ კომისიას რეაგირება მოეხდინა“, - განაცხადა მეჭურჭლიშვილმა. მისი თქმით, თვითმმართველ ქალაქებში კომუნიკაციები მჭიდროდაა განთავსებული და მიერთებისთვის ქსელის მშენებლობაა საჭირო, რომელი მოთხოვნის დაკმაყოფილებაც, თავის მხრივ, საკმაოდ დიდ სამშენებლო სამუშაოებს საჭიროებს. „შესაბამისად, მარეგულირებელი კომისია ვალდებული იყო, ეს ხარჯები სადმე აესახა. ჩვენ ვერ დავუშვებდით ამ ხარჯების ტარიფში ასახვას, მით უმეტეს, როდესაც ეს ხარჯები გამოწვეულია თითოეული მიერთების მსურველის ტექნიკური მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ამიტომ, ხარჯების ანაზღაურების სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე ამ ხარჯების იმ ზონებზე ლოკალიზება მოვახდინეთ, რა ზონებიდანაც გამოდიოდა მათი მატება“, - განაცხადა რეგულირების განვითარებისა და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორმა.ვანო

მეჭურჭლიშვილმა ასევე, ისაუბრა იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს რეალურ დროში კონტროლი. „რეალურ დროში კონტროლი გულისხმობს შემდეგს: კომისიას დადგენილი აქვს კომპენსაციები, თუ განაწილების ლიცენზიანტი დროულად არ მოახდენს ამ მიერთების სამუშაოების განხორციელებას, მიერთების საფასური 50%-ით ნახევრდება, დამატებით ვადა გადაცილებაზე ნულდება, ხოლო ამის შემდგომ ყოველ მომდევნო გადაცილებაზე კომპანია კომპენსაციის სახით უხდის მიერთების საფასურის 50%-ს. 2019 წელს ახალ მიერთებების ვადების დარღვევის გამო მხოლოდ ბუნებრივი გაზის სექტორში გაცემულია 533 530 ლარის ოდენობის კომპენსაცია“, - აღნიშნა მეჭურჭლიშვილმა.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების მეთოდოლოგია იცვლება

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის განცხადებით, მიმდინარეობს მუშაობა ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ახალი ქულის მინიჭებამდე, საარსებო შემწეობის დარიცხვა უწყვეტად მოხდება.

„ამასთან, ოჯახების შეფასების პროცესის კიდევ უფრო მეტი გამჭვირვალობის მიზნით, უახლოეს პერიოდში სოციალური აგენტები აღიჭურვებიან სამხრე კამერებით და ციფრული მოწყობილობებით, რათა დეკლარაციაში ინფორმაცია იყოს არამხოლოდ სიტყვიერად, არამედ ვიზუალურად ასახული. ეს იქნება კიდევ ერთი ინსტრუმენტი იმისათვის, რომ გამოირიცხოს როგორც აგენტის სუბიექტური შეფასება, ისე სისტემური შეცდომები“, - განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ მინისტრის საათის ფორმატში, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას.

მისივე თქმით, სამინისტრომ დაიწყო ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის ინტენსიური გადამოწმება, რათა შემწეობა მიიღონ იმ ადამიანებმა, რომლებსაც ყველაზე მეტად ესაჭიროება. ეკატერინე ტიკარაძის განცხადებით, იმის გამო, რომ სიღარიბის ერთ-ერთი წამყვანი მიზეზი უმუშევრობაა, აქტიურად დაიწყება სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების ხელშეწყობა, რაც მოქალაქეს ფინანსურად ბევრად დამოუკიდებელს გახდის.

„მოსახლეობის დასაქმების უკეთესი ხელშეწყობის მიზნით, სამინისტრომ განახორციელა სისტემური ცვლილება და შექმნა დამოუკიდებელი, მხოლოდ დასაქმების ხელშეწყობაზე ორიენტირებული უწყება – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო“

ეს უწყება მოქალაქეებს შესთავაზებს სრულ სერვისს სამუშაო ადგილების მოძიების, პოტენციურ დამსაქმებლებთან კომუნიკაციის, პროფესიული უნარების შეფასების, განვითარებისა და სტაბილური დასაქმებისთვის. ამავდროულად სახელმწიფო მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების საკითხზე. ამ შესაძლებლობის განვითარების მიზნით, ადამიანისა და შრომის უფლებების დაცვის უზრუნველყოფით, ცირკულარული შრომითი მიგრაციის სფეროში მიმდინარეობს ინტენსიური დიალოგი ევროკავშირის წევრ და სხვა განვითარებულ ქვეყნებთან“, - აღნიშნა მინისტრმა.

კორონავირუსი- მსოფლიო საფრთხე და ახალი გამოწვევა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 9 იანვარს გამოქვეყნდა განცხადება ჩინეთში პნევნომიის შემთხვევებთან დაკავშირებით.

2019 წლის 31 დეკემბერს ჰუბეის პროვონციის დედაქალაქ უჰანში (19 მლ მოსახლეობა) დაფიქსირდა უცნობი ეტიმოლოგიის პნევნომია. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამომწვევი გახდა ახალი კორონავირუსი, რომლის იდენტიფიცირებაც მოხდა პნევნომიით დაავადებულ ადამიანში. ახალი კორონავირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა დადასტურებულია.

რა არის კორონავირუსი?

კორონავირუსები წარმოადგენენ დიდ ოჯახს, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ნაკლებად მძიმე დაავადება. მაგალითად ჩვეულებრივი გაციება.

ახლად აღმოჩენილი კორონავირუსი არის ახალ შტამი, რომელიც ადრე არ იყო გამოვლენილი ადამიანებში.

კორონავირუსი არის ზოინოზი, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაცემა ხდება ცხოველიდან ადამიანზე კვლევამ აჩვენა, რომ გადაცემა მოხდა კატისებრთა ოჯახიდან.

სიპტომები: ცხელება, ხველა, ქოშინი, სუნთქვის გაძნელება, უფრო მძიმე შემთხვევაში პნევნომია, მწვავე რესპირატორული სინდრომი, თირკმლის უკმარისობა.

როგორ დავიცვათ თავი- სტანდარტული რეკომენდაციები

1. რესპირატორული ინფექციის მქონე ადამიანებთან კონტაქტისგან თავის არიდება;
2. ხელების ხშირი დაბანა, განსაკუთრებით თუ არსებობს კონტაქტი დაავადებულ ადამიანებთან, ყველაზე ხშირად ვირუსით დასნებოვნება ხდება საჭმლის მომნელებელი სისტემით;
3. თავი ავარიდოთ კონტაქტებს ფერმებთან და გარეული ცხოველებთან;
4. რესპირატორული ინფექციის მქონე ადამიანებმა დაიცვან ხველის ეტიკეტი;
5. სამედიცინო დაწესებულებაში გაძლიერდეს სტანდარტული ინფექციის კონტროლის ღონისძიებები, განსაკუთრებით საავადმყოფოებსა და გადაუდებელი დახმარების ადგილებში;
6. ინკუბაციის პერიოდია 14 დღე.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

„სიკეთე არის ცხოვრების არსი...“

ამ დღეებში დედოფლისწყაროში ერთ-ერთ წარმატებულ და პატივსაცემ ოჯახს ქორწინებიდან 35 წელი შეუსრულდა. ეს არის წლები, რომელიც ოჯახმა ყოველგვარი ხმაურისა და სკანდალის გარეშე სიყვარულსა, ურთიერთპატივისცემასა და ერთი მიზნისკენ სწრაფვაში გაატარა. ეს მიზანი კი პატიოსანი შრომით ოჯახის მატერიალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის შექნა და შვილების განათლებულ და კარგ მოქალაქეებად აღზრდა წარმოადგენდა. ორივე მიზანი შესრულებულია. სწორედ ამიტომაა საინტერესო მათ მიერ განვლილი ცხოვრების გზა. ტარიელ ნატროშვილმა და მზია სეხნიაშვილმა 1985 წელს შექმნეს ოჯახი და აგერ, 35 წელია, ერთმანეთის მხარდამხარ, ერთგულად ეწევიან ცოლ-ქმრობის არც თუ მსუბუქ უღელს, რადგან მათ, როგორც იტყვიან, დამოუკიდებლად, კოვზიდან და ჯამიდან დაიწყეს ოჯახური თანაცხოვრება ერთ პატარა, რუსული სტილის ბინაში, ანუ ქოხში, როგორც მას თავად ეძახიან. სწორედ ამან მისცათ უფრო მეტი სტიმული თავდაუზოგავი შრომისა და ნაშრომ-ნაჯაფის სწორად და მიზნობრივად გამოყენებისთვის.

ალბათ, თქვენთვის საინტერესოა, ცხოვრების რა გზა გაიარა თითოეულმა მათგანმა ერთ სულ და ერთ ხორც შეერთებამდე. მზია, იგივე სოფიო, როგორც მას მშობლიურ არბოშიკში იცნობენ, დაიბადა 1960 წელს, 9 იანვარს, აკაკი სეხნიაშვილისა და ვენერა ზურაშვილის ოჯახში პირველ შვილად. (ცნობისათვის მინდა გითხრათ, რომ აკაკი და ვენერა დღეს შვილის მახლობლად დედოფლისწყაროში ცხოვრობენ, ამიტომაც ხანდაზმულ ადამიანებს მზრუნველობა არ აკლიათ შვილისა და შვილიშვილების მხრიდან). ორ წელიწადში მზიას უმცროსი და მარინა მოჰყვა და ასე იზრდებოდნენ თბილი და ტკბილი მშობლების ხელში. მზიამ, არბოშიკის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, თბილისის ა.პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი სწავლების ფაკულტეტზე ჩააბარა მისაღები გამოცდები, მაგრამ ქულები არ ეყო და ვერ ჩაირიცხა, რადგან მაშინ სულ რაღაც 5 ბავშვს იღებდნენ უსტაჟოდ, ჩაურიცხაობის შემთხვევაში კი უკვე შრომითი სტაჟი იყო აუცილებელი. მზიაც იძულებული გახდა, სამუშაოს საძებნელად რაიმე სამუშაო ეშოვნა და თან ემეცადინა. დედასთან ერთად რაიონში გამოსული შემთხვევით ქორეოგრაფ ლევან ხუნაშვილს შეხვდა და თავისი „გასაჭირი“ გაანდო. მოსწავლეობისას ლეო არბოშიკში მზიას ცეკვის მასწავლებელი იყო და მისი ოჯახისაგან დავალებულიც, რადგან, საჭიროების შემთხვევაში, ის და მისი მეუღლე მათთან ათევდნენ ღამეს და ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. ამას ისიც დაემთხვა, რომ ლეოს იმჟამად საქმის მწარმოებელი სჭირდებოდა და მზიას სწორედ ეს სამსახური შესთავაზა. მერე აქვე ბუღალტრის ადგილი გამონთავისუფლდა და მზიამ ამ პოზიციაზე გადაინაცვლა. ეს თანამდებობა კი ეკონომიკურ განათლებას მოითხოვდა და მზიამაც პედაგოგობაზე ოცნებას მიმართულება შეუცვალა. ბაკურციხის ტექნიკუმში ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა და მერე, მოგვიანებით, როდესაც ტექნიკუმის ბაზაზე უნივერსიტეტის ფილიალი შეიქმნა, ეკონომიკური ცოდნა დაუსწრებელ განყოფილებაზე შეავსო და განამტკიცა.

ტარიელი 1953 წლის 17 ივნისს ზემო მაჩხაანში მიხეილ და ბაბული ნატროშვილების ოჯახში დაიბადა. ბავშვობიდანვე მშვიდი და გაწონასწორებული იყო, შრომისმოყვარე და წინდახედული. ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის 9 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა ქვემო მაჩხაანის ზოოვეტ ტექნიკუმში გააგრძელა და ვეტერინარი გახდა. შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობდა და არბოშიკის საკოლმეურნეო ყველ-კარაქის საამქროში მუშაობდა. როგორც ჩანს, ტარიელმა მზია სწორედ ამ პერიოდში გამოარჩია თანატოლი გოგოებისგან და თვალიც დაადგა.

-მეათე კლასში ვიყავით, სკოლის წინ ბორდიურზე ჩამომსხდრები, რაიონში სურათის გადასაღებად ვაპირებდით წამოსვლას და ვქუჩილაობდით. ჩამოიარა ჟიგულის მარკის ავტომანქანამ (ეს მაშინ იშვიათობა იყო), შეაჩერა, ერთ-ერთ ჩვენს თანაკლასელ ბიჭს დაუძახა და უთხრა: აი, ის გოგო მომწონს და უთხარიო. ავტომანქანის საჭესთან მოხდენილი, ძალიან თანამედროვედ, ჯინსებსა და მზის სათვალეში გამოწყობილი ახალგაზრდა იჯდა. საკმაოდ მესიმპატიურა, მაგრამ შევუთვალე: მე არ მომწონხარ-მეთქი. ამ დღიდან შვიდი წელი გავიდა. ჩვენი გზები რამდენჯერმე კვლავ გადაიკვეთა და ბოლოს, 1985 წელს დამთავრდა ქორწინებით- იხსენებს მზია.

ერთხანს ზემო მაჩხაანში ცხოვრობდნენ. კარგი დედამთილი მყავდა, მამამთილი მასზე უკეთესიო, ამბობს მზია, მაგრამ ტარიელი სამუშაოდ რაიონის ცენტრალური ყველმრეწვის ქარხანაში გადმოვიდა სამუშაოდ და...სწორედ მაშინ იყიდეს ზემოთხსენებული „რუსული ქოხი“, რომელთანაც ბევრი ტკბილი და მწარე მოგონება აკავშირებთ. ტკბილი-ოჯახური ურთიერთობებით, სიყვარულით და შვილების დაბადებით გამოწვეული სიხარულით და მწარე-არარსებული კომფორტის გამო წარმოქმნილი ყოფითი სიძნელეებით.

-სახლი ძალიან ძველი, თითქმის საუკუნოვანი იყო და ბევრ სირთულს ვაწყდებოდი, როგორც დაისახლისი, მაგრამ ჩვენი კარი სულ მუდამ ღია იყო ყველასთვის: ნათესავებისთვის, მეგობრებისა და მეზობლებისთვის. ჩვენ თავად გვიჭირდა და სხვებისთვის ხელის წაშველებას მაინც ვახერხებდით. საწყისიდანვე ჩვენი ოჯახის ისტორიაში სიკეთის მეტი არაფერი გვინდოდა, რომ ჩაწერილიყო. ღმერთიც ხელს გვიმართავდა. ჯერ მამაჩემის თანადგომით და ჩემდეგ ჩვენი ძალისხმევით, ახალი ბინის მშენებლობა წამოვიწყეთ და დღევანდლამდე მოვედით შრომით და მცდელობით, უკეთესი ცხოვრება რომ მოვუწყოთ ჩვენს შვილებს. ტარიელი ჯერ ყველ-კარაქის სათაო ქარხანაში მუშაობდა, მერე პურის ქარხანაში დირექტორის მოადგილე იყო, მეც საჯარო სამსახურში ვიყავი დასაქმებული, პოლიკლინიკის რეგისტრატურაში ვმუშაობდი და მეულლეს გვერდში ვედექი. მაგრამ, 90-იან წლებში ცხოვრებამ გეზი იცვალა, ყველაფერი მოიშალა, დაიხურა და ლიკვიდაცია გაუკეთდა მრავალ ორგანიზაციას. მივხვდით, რომ სახელმწიფო სამსახურის იმედზე ვეღარ ვიქნებოდით და რაიმე უნდა გვეფიქრა, ახალი ცხოვრებისთვის ახლებურად უნდა აგვეწყო ფეხი. ჰოდა, ჩვენც ყველ-კარაქის მწარმოებელი პატარა საამქრო გავაკეთეთ ჩვენს ეზოში. მეც და ტარიელიც დღე და ღამ მუხლჩაუხრელად ვშრომობდით. წარმატებული ბიზნესი გამოდგა, შედეგი კარგი გვქონდა. მერე უფრო გავფართოვდით, სხვებიც მოვიხმარეთ და ბედს არ ვემდურით, გაგვიმართლა, ცოტა სახნავ-სათესიც გვაქვს და ერთი ნორმალური ოჯახის კვალობაზე არაფერი გვიჭირს, - გვიყვება თავისი ცხოვრების ისტორიას ქალბატონი მზია, რომელმაც ამ ყველაფრის პარალელურად სამი საუკეთესო ქალიშვილი გაუზარდა ქვეყანას. თურმა, ბავშვობიდანვე ბევრ შვილზე ოცნებობდა. 7 შვილი მინდოდაო, - ამბობს. ღმერთმა ოთხმა მისცა დედობის შანსი. მესამე მშობიარობა ნაადრევი გამოდგა და 7 თვიანი ვაჟი დაკარგა. მერე მესამე ქალიშვილი დაიბადა და ბედნიერი ქალია, რადგან უფლის წინაშე შვილთამკვლელი ცოდვა არ ჩაუდენია. თუ ღმერთი მომცემდა, კიდევ გავაჩენდიო, - გულწრფელად ამბობს და სამ ქალიშვილს იფიცებს, ქალიშვილებს, რომელთა გაზრდას, აღზრდას და განათლებას შეალია მთელი თავისი ძალისხმევა და ენერგია.

სამივემ უმაღლესი განათლება მიიღო და საკუთარი ცხოვრება აქვთ.უფროსი- ნატო,დაბადებიდანვე „დიდი“ იყო,მშვიდი,გაწონასწორებული,დამჯერი. დაამთავრა სამედიცინო უნივერსიტეტი,პარალელურად დაუსწრებელი იურიდიული ფაკულტეტი. დედაქალაქში სამედიცინო სფეროში იყო დასაქმებული, მაგრამ ცხოვრებამ მოიტანა და მშობლიურ რაიონში დაბრუნდა. ამჟამად თი-ბი-სი ბანკში მუშაობს და მშობლების და პაპა-ბებიის დიდი დასაყრდენია,რადგან საკუთარი ოჯახის შექმნას არ ჩქარობს (ისე კი,დროა!). ნონა ნატოზე ორი წლით უმცროსია. ცელქი,დაუდეგარი და ბობოქარი ბუნების, მიზანსწრაფული და რისკიანი, ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული. მან თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. მუშაობდა მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის სხვადასხვა პოზიციაზე,მათ შორის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.შექმნა ოჯახი ნოდარ სამადაშვილთან ერთად. ამჟამად დედაქალაქში ცხოვრობს. აქვთ საკუთარი ბიზნესი რძის პროდუქტების წარმოების ხაზით. უმცროსი ქალიშვილი- ნათია პროფესიით ჟურნალისტია, კავკასიის უნივერსიტეტი დაამთავრა,მაგრამ, ჯერ-ჯერობით, პატარა მიკაელას „ბრძანებებს ემორჩილება.“ სამი წლის პრინცესა (ამ სიტყვის ფართო გაგებით), არა მარტო გასაოცარი სილამაზით,არამედ გონიერებითაც გამოირჩევა. მამამისი, რევაზ გონაშვილი, „ერას“ სავაჭრო ქსელში მუშაობს, სხვადასხვა ობიექტს ემსახურება და დედაქალაქში მცხოვრებ მიკაელას ეს,მაინცდამაინც, არ აწყობს, რადგან მამიკო სულ მუდამ მასთან არ არის. ამის გამო ის „პროტესტსაც“ აცხადებს ხოლმე. ის,რაც სამივე ქალიშვილს ოჯახიდან გამოჰყვა, შრომისმოყვარეობა, სიკეთის კეთება, ქველმოქმედება და ადამიანების სიყვარულია. ამას ისინი მშობლების მაგალითზე ყოველდღიურ ცხოვრებაში ხედავდნენ და დღესაც ხედავენ - მზიაც და ტარიელიც ხელგულგაშლილი ხვდებიან მათთან მისულ ყველა ადამიანს, ვისაც მათი დახმარება სჭირდება. მზია საზოგადოებრივ სექტორშიც მუდამ აქტიურია და მრავალი ღონისძიების ორგანიზატორი. მან შექმნა ობოლ ბავშვტა დახმარების ფონდი და ბევრ ბავშვს შეაშველა ხელი. იმ 22 ობოლ ბავშვს კი, რომლებმაც ზაფხულის არდადეგები მზია დეიდას წყალობით წაღვერში გაატარეს, არასოდეს დაავიწყდებათ ეს განუმეორებელი დღეები. ბევრმა მათგანმა მზია დეიდას წყალობით პირველად ნახა ცირკი, ზოოპარკი, ფილარმონია, თეატრი, ოპერა, გაიხარა საახალწლო საჩუქრებით, დაბადების დღის აღნიშვნით, ქალთა დღეს დედისთვის საჩუქრის მირთმევის სიხარულით, მრავალშვილიანი ოჯახისთვის მარჩენალი ძროხის ყიდვით და სხვა მრავალი... მზია დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის წევრია და მუდამ მხარში უდგას ამ ორგანიზაციას იმ გამორჩეული და საინტერესო ღონისძიებების მოწყობაში,რომელსაც ის სხვადასხვა პროექტების სახით აწყობს რაიონსა თუ დედაქალაქში.

ქალბატონ მზიას 9 იანვარს საიუბილეო 60 წელი შეუსრულდა. ახლობლებისა და მეგობრების წრეში ეს თარიღი საზეიმოდ აღინიშნა. ბევრი სითბო და სიყვარული მიიღო ამ დღეს იუბილარმა. მწიგნობართა ასოციაციის წარდგინებით კი საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარმა“ ის დააჯილდოვა დიპლომით როგორც „წარმატებული ბიზნესმენი და ქველმოქმედი“.

ჩვენც ვუერთდებით ქორწინების 35 წლისთავისა და საიუბილეო 60 წლისთავის მრავალრიცხოვან მილოცვას და ამ შესანიშნავ ოჯახს და მის მთავარ დიასახლისს ვუსურვებთ ჯანმრთელობას,მრავალ სიხარულს, ბედნიერებას, ხვავსა და ბარაქას. უფლის წყალობა არ მოაკლდეთ.

ნაირა გორაშვილი

არბოშიკის სამუსიკო სკოლას მალე სველი წერტილები ექნება

არბოშიკის სამუსიკო სკოლა შველას ითხოვს. სივრცეს, სადაც ბავშვები გარკვეულ დროს ატარებენ და ხელოვნებას ეზიარებიან, წყალი და ჰიგიენის დაცვისთვის ელემენტარული პირობები არ გააჩნია. არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-მა, რომელიც გარემოს დაცვის საკითხებზე მუშაობს, გამოაცხადა საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იყო ამ პრობლემის მოგვარება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში შეიქმნა WASH საბჭო, რომლის მიზანიცაა სანიტარიულ-ჰიგიენური პრობლემების მოგვარება ისეთ ობიექტებში, სადაც ბევრი ბენეფიციარია. ერთ-ერთ მოწყვლად ჯგუფს შეადგენენ ბავშვები.

დედოფლისწყაროს WASH საბჭომ ამ პროექტის ფარგლებში შეისწავლა წყალი, სანიტარია, ჰიგიენის მდგომარეობა საჯარო-სასწავლო დანესებულებებში და ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან- ,,ლაგთან'' ერთად, გადაწყვიტა უწყლოობის და სანიტარიულ-ჰიგიენური პრობლემების მოგვარება არბოშიკის სამუსიკო სკოლის ფილიალში. ლაგმა მონაწილეობა მიიღო CENN მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში და მოიპოვა დაფინანსება.

მალე არბოშიკის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს ექნებათ ხელმისაწვდომობა წყალზე და გაუმჯობესდება მათი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები.

ულოცავენ!

კლარა ოზაშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს!

არ ვასახელებ წლოვანებას, რადგან თქვენ, თქვენი შემართებით, საქმიანობით , მარად ახალგაზრდა ბრძანდებით.

ღვაწლმოსილო,ამაგდარო ადამიანო! გულისხმიერებით, საქმისადმი სიყვარულით, საგაზეთო კორესპონდენციებით, ცხოვრების წესით, საკუთარი ოჯახისადმი უსაზღვრო სიყვარულით, უამრავი ადამიანისთვის მოგიძღვნიათ გულის სითბო, უამრავ ადამიანს დადგომიხართ გვერდით საგაზეთო კორესპონდენციებითა და ყურადღებით.

გაზეთში მუშაობის პერიოდში ბევრჯერ შეხებიხართ სასკოლო ცხოვრების ამბებს. როგორც მკითველი შენიშნავდა, ყურადღებას ამახვილებდით არა მხოლოდ მოზარდებზე, არამედ იმ ადამიანებზეც, რომლებიც მათ გვერდით ტრიალებდნენ, რომლებსაც სინდისით, დანიშნულებით, კანონით მათზე ზრუნვა, მათი ცხოვრების სწორი კალაპოტით წარმართვა ევალებოდათ.

ადამიანი ადამიანის გვერდით.

ბევრის მთქმელია ეს ფრაზა!

ცნობილია რომ, როგორც ჩემ დროს, ისე ახლაც, თითო აღსაზრდელზე, საერთო ჯამში, მოდის რამდენიმე აღმზრდელი, მაგრამ რაოდენობა საქმეს ვერ შველის, გულის სითბოა საჭირო, რომელიც არ იზომება და არც არავითარ აღრიცხვას არ ექვემდებარება. აქ გამოდგება მხოლოდ ერთი პრინციპი: „გული მისცეს გულისათვის“, რაც თქვენთვის უცხო არ არის!

პატივისცემით,
ეგული ყოჩიაშვილი.

* * *

ჩვენი „შირაქის“ ბერმუხას, ჩვენს საყვარელ კლარა ოზაშვილს, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეს, ღვაწლმოსილ ჟურნალისტს ვულოცავთ 90 წლის იუბილეს. გისურვებთ კიდევ ლამაზ სიბერეს, შენს საყვარელ მეუღლესთან გუგულისთან, დიდ და ლამაზ ოჯახთან ერთად. კიდევ მოვსულიყავით 100 წლის იუბილეს მოსალოცად და გაგვეხსენებინოს გაზეთ „შირაქში“ განვლილი ბედნიერი წლები.

დიდი სიყვარულით,
შენი „შირაქელები“

ნაირა გორაშვილს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საამაყო ქალბატონს, სხვადასხვა ნომინაციაში, მათ შორის საუკუნის ლეგენდის ქალბატონ ნაირა გორაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს შვილებთან ზურასა და მაგდასთან, შვილიშვილებთან ნიასა და გიორგისთან ერთად .

ვუსურვებთ ჯანმრთელობას , დიდხანს სიცოცხლეს და ყოველივე კარგს.

უღრმესი პატივისცემით,
ლალი გოჭორიშვილი და ჯიმი ალუღიშვილი, ლამარა და ნანა ჭიჭინაძეები
და მარიკა პოპიაშვილი ოჯახებით.

* * *

ნაირა, ჩვენო მეგობარო, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. უფალი გფარავდეთ შენ და შენს უძვირფასეს ადამიანებს.

ლამარა ჭუჭულაშვილი და ლია ხუციშვილი

მაყვალა ჯორკოშვილს!

ძვირფასო მაყვალა, გილოცავთ დაბადების დღს. იყავ ჯანმრთელი, მხნე და ბედნიერი შენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. ტკბილ მოგონებად დარჩა წლები, როდესაც ერთად ვმუშაობდით სოფლის მეურნეობის სამმართველოში. ბევრი ლამაზი დღე დაგვრჩა იმ დროის გასახსენებლად. გულწრფელად გვიყვარდა და პატივს ვცემდით ერთმანეთს. ის ურთიერთობები გამოგვყვა სიბერემდე, რასაც დღემდე ვუფრთხილდებით თითოეული ჩვენგანი. კვლავაც დიდხანს ვიცოცხლოთ ერთმანეთის საიმედოდ.

პატივისცემით, ყოფილი სოფლის მეურნეობის სამმართველოს თანამშრომლები: შალვა თეთვაძე, ჯემალ კვანჭილაშვილი, ივერი ჭუჭულაშვილი, მერაბ როგიტაშვილი, ნანა აფციაური, ნანა ჭიჭინაძე, თამაზ ჯანიკაშვილი, ჟუჟუნა კოჭლამაზაშვილი, თამრიკო პაპაჩაშვილი.

თემურ ოზბეთელაშვილს!

26 იანვარი შენი დაბადების დღეა. წელს საიუბილეო 60 წლისთავი შეგისრულდა. გილოცავთ, იყავი ჯანმრთელი, მხნე, იცოცხლე დიდხანს და იყავი ბედნიერი შენს კარგ ოჯახთან ერთად. სამი ვაჟკაცის მამას წინ ბევრი ბედნიერი და ლამაზი დღე გელოდება. ძვირფას მეუღლესთან- მაია ბოსტაშვილთან ერთად ტკბილად გაატარე შენი დარჩენილი ცხოვრება.

პატივისცემთ, რაიონის ყოფილი დარგის პროფკავშირების თავმჯდომარეების სახელით: ნელი გოგეჯიშვილი, რეზო კოპალიანი, მერი თარაშვილი, ნანა ჭიჭინაძე.

ნინა ყოჩიაშვილი

გამოსათხოვარი

94 წლის ასაკში ჩვენი რაიონის კულტურის დარგის მსახურთა ძველი კოჰორტის რიგებს გამოაკლდა მსახიობი ნინა ყოჩიაშვილი, რომელიც ბოლო წევრი იყო იმ პირველი რიგის მსახიობებისა, რომელთა უშუალო მონაწილეობით შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო წითელწყაროს სახალხო თეატრმა. მაშინდელი მსახიობები კი არა, მაყურებლებიც კი ნაკლებად შემორჩა წუთისოფელს. ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრებით იცხოვრა. მისი ოცნება პედაგოგობაზე თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის მეორე კურსზე დასრულდა, როდესაც ავადმყოფობის გამო მიატოვა სწავლა. თეატრში შემთხვევით მოხვდა, სუფლიორობით დაიწყო და მთელი სიცოცხლე იქცა თეატრის მონად. უამრავი როლი ითამაშა, არა მხოლოდ ქალის, ხანდახან კაცისაც. სცენა იყო მისი სახლი, მისი სიყვარული, მისი ცხოვრება. სიცოცხლის ბოლომდე იყო მხნე და გაუტეხელი, მიუხედავად სიდუხჭირისა და მრავალი ცხოვრებისეული წინაღობისა. ცალუღლად გაზარდა ქალიშვილი და სამი შვილიშვილი. ნაღველში ამოვლებული ჟამი მისი ცხოვრებისა დამთავრდა. „უკანასკნელი მოჰიკანი“ შეიძლება ვუწოდოთ, რადგან კოლეგების მთელი მთელი არმია ელოდება მას ზეციურ სოფელში. ხალხი, რომელიც მასთან ერთად ათეული წლები იდგა რაიონის სცენაზე და დაუვიწყარ როლებს ქმნიდა. მინდა გავიხსენო ისინი და პატივი მივაგო მათ ხსოვნას: მარო ხარხელი, ალექსანდრე გიგოლაშვილი (ღუცო), რეზო გონაშვილი, ილიკო და თინა ფავლენიშვილები, დათუნი სინჯიაშვილი, ეგრეზი ჯანყარაშვილი, მერი მეხრიშვილი, ხვთისო დავითაშვილი, კარლო გოგაშვილი, შოთა ნატროშვილი,ვახტანგ (ფასო) ბეგიაშვილი, ლუდვიგ ჯალიაშვილი, მიტო ქართველიშვილი და სხვები (ალბათ, ვინმე გამომრჩა, მაპატიოს მათმა სულმა).მათ შქმნეს ერთი დიდებული ეპოქა ჩვენი რაიონის თეატრალური ცხოვრებისა.მათ რიცხვს ახლა ნინა ყოჩიაშვილიც (ხალხის მეხსიერებაში „შავ ნინად „წოდებული) შეემატა. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროთ. თითქოს სიმბოლური იყო, რომ რომ ქალბატონმა ნინამ მთელი ცხოვრება თეატრის ქუჩაზე გაატარა, ეს პატარა ქუჩა და ქალაქ დედოფლისწყაროს მოსახლეობა საბოლოო გზაზე გააცილებს და შემოინახავს მის ხსოვნას. გემშვიდობებით, ნინა დეიდა, ღმერთს ებარებოდე.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია

გარდაიცვალა დედოფლისწყაროს კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკი, წითელწყაროს სახელმწიფო და სახალხო თეატრის მსახიობი, ნინა ყოჩიაშილი. იგი დაიბადა 1925 წლის 14 აპრილს წითელწყაროს რაიონში. მუშაობდა წითელწყაროს სახელმწიფო თეატრში.მიიღო მონაწილეობა სპექტაკლებში „ტირიფის ქვეშ“, „მკაცრი ქალიშვილები“, „სამშობლო“ და სხვა. თეატრის დაშლის შემდეგ მუშაობა გააგრძელა სარაიონო კულტურის სახლში სხვადასხვა თანამდებობეზე (ინსტრუქტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი). ბოლო წლებში იყო საკლუბო დაწესებულების ხელმძღვანელი. დიდი წვლილი აქვს შეტანილი ახალგაზრდა თაობის აღზრდაში. უძღვებოდა კულტურის მუშაკების ყოველთვიურ სემინარებს.თბილად გავიხსენებთ მუდამ ქალბატონ ნინას. ნათელში ამყოფოს უფალმა!

საქართველოს კულტურის,სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნელი გოგეჯიშვილი, ლია დარაშვილი, მარინა ჯამასპიშვილი,ლამარა გომელაური, ანგელინა ღორაშვილი, ელისო ფიროსმანაშვილი, დარეჯან ჩიბუხაშვილი, მაყვალა წიკლაური, მაია მეხრიშვილი,ქეთინო ქიმოსტელი, გივი ლომიძე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დედოფლისწყაროს კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკი, წითელწყაროს სახელმწიფო და სახალხო თეატრის მსახიობი, ნინა ყოჩიაშვილი. მან 1942-1985 წლებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რაიონის კულტურული ცხოვრების განვითარების საქმეში. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

(ფოტო 1975 წელი, „მარინას“ როლში)

დედოფლისწყაროს საზოგადოებას გამოაკლდა კიდევ ერთი ღირსეული წევრი, ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში ემსახურებოდა ჩვენი რაიონის კულტურულ ცხოვრებას, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მაშინდელი წითელწყაროს თეატრის განვითარებაში. მომავალ თაობას დაუტოვა ბევრი როლი და იმისი მაგალითი, რომ სცენაზე დგომა საამაყოცაა და ერთგვარი ტვირთიც. თეატრი ავითარებს ადამიანის შინაგან სამყაროს, სცენაზე მოთხრობილი ამბები დააფიქრებს ბევრს ცხოვრებაზე და საკუთარ საქციელზე... თუმცა, აქამდე რომ მიხვიდე მაყურებელი, კარგი მსახიობია საჭირო. ქალბატონი ნინა ასეთი მსახიობი გახლდათ. თეატრალური დასის დაშლის შემდეგ ის მომავალი თაობის აღზრდით იყო დაკავებული. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია სამძიმარს უცხადებს ნინა ყოჩიაშვილის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი
ნიკოლოზ ჯანიაშვილი

გელა გიგაშვილი



ჩემო გელა, ჩემო დიდო სიხარულო და დიდო ტკივილო, ყოველთვის სიხარულით ველოდებოდით 8 იანვრის მოსვლას, შენს დაბადების დღეს.

უკვე 8 წელია, ეს დღე მანადგურებს, ტკივილს მიღვიძებს და მონატრებას მიასმაგებს იმიტომ, რომ უშენოდ ვხვდებით ამ დღეს. დაბადების დღე შენს გარეშე გაუსაძლისი ტკივილია, მაგრამ საშველი არ ჩანს. მოვალთ შე

შენს საფლავზე გულისტკივილით და მდუღარე ცრემლებით დაგისველებთ საფლავს. მოგილოცავთ დაბადების დღეს.

ჩემო მოუშუშებელო ტკივილო, რაც დრო გადის უფრო მეტად მენატრები. მონ ატრების ამ დიდ ტკივილს არ ვიცი , როგორ გაუძლო. უშენობა ძალიან ძნელია. ჩემო ძვირფასო, როგორ მინდა, ჩაგეხუტო და მოგეფერო. გვენატრები ოჯახს, შენს მეგობრებს, სანათესაოს. შენს საფლავზე მუდამ მოდიან ბიჭები და სვავენ შენს შესანდობარს. ახლაც მოვედით, შვილო, შენს საფლავზე, მოგილოცეთ სიცოცხლე დასრულებული 47 წლისთავი.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა, ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი, ჩემო უზომოდ კეთილო შვილო.

შენი მონატრებული დედა
ციცო მესტიაშვილი

გივი ფიროსმანაშვილი



26 იანვარი შენი დაბადების დღეა. როგორი სიხარულით ვხვდებოდით ამ დღეს ყველა, ახლა კი დამწუხრებულნი, ცრემლით სავსე თვალებით ვდგავართ შენს სურათთან, შევყურებთ ანთებულ სანთელს და მის ალს ვატანთ ჩურჩულით ნათქვამ მოსალოცს სიტყვებს...

დაბადების დღეს გილოცავთ ჩემო ერთადერთო, უსაყვარლესო ძმაო, გივი. ნათელში ყოფნას გისურვებ იმ სამყაროში, სადაც სამუდამოდ გადასახლდი და დაგვტოვე უნუგეშოდ მეც და შენი ცოლ-შვილიც. ყველა ხომ გაერთიანებული ძალებით ვებრძოდით ნლების მანძილზე შენს ავადმყოფობას.ყველაზე მეტად შენ გიჭირდა. როგორ გტკიოდა, როგორ იტანჯებოდი, მაგრამ მაინც ჩვენ გვამხნევებდი და იბრძოდი სიცოცხლისათვის, ჩემო სულით ძლიერო ძმაო.

აქ ხომ კარგი ძმა, კარგი მეუღლე და მამა იყავი- კარგი კაცის სახელი დატოვე. მშვიდად იყავი იმქვეყნიურ სასუფეველში. მშობლების გულში ჩახუტებულს სითბო არ მოგაკლდება. ძმასავით გვერდში მდგომი სიძე ზურაც ხომ მანდ გყავთ და ერთმანეთს მიხედავთ და მიესიყვარულებით.

აქ კი თქვენი დანატოვარი დიდხანს იცოცხლებენ და გამრავლდებიან, რათა სანთელ-საკმელი და ლოცვა არ მოაკლონ თქვენს სულებს.

შენი და ეთერი.

ზაზა პოპიაშვილი



შეუსრულებელ 41 წელს გილოცავ, ჩემო საყვარელო შვილო

მაგიდაზე, შენი სურათების წინ დანთებული სანთლების ციმციმს და საკმევლის სურნელს შენთან ვატან მონატრებას, სიყვარულს, ამბორს და ცრემლიანი თვალებით გეუბნები: დაბადების 41 წლისთავს გილოცავ იმქვეყნად ზეცაში. შენი წასვლით დატოვებულ ტკივილს, ვერც 14 ნელმა უშველა, შვილო. ძნელია შვილზე ნერა, როცა იგი მოგონებადაა ქცეული. უზომო სულის ტკივილია უშენობა, ჩემო კეთილო , ალალო, სიცოცხლეზე და ცოლ–შვილზე გულდაწყვეტილო, 27 ნლისად დარჩენილო შვილო.

იმ საბედისწერო დღეს, აღდგომის დღესასწაულზე, ბრწყინვალე შვიდეულის პირველსავე დღეს, უფალმა სამოთხის კარი გაგიღო და შენც შენი ფიქრებით და აუსრულებელი ოცნებებით დაადექი სასუფევლის გზას. მოგიკვდეს დედა, უფლის ნებას ვერავინ შეცვლის. მისი რწმენით ვახერხებ ამ გაუსაძლისი დღეების გატანას.

ზაზა, უშენობა ჩემი სხეულიდან ამოგლეჯილი გულია, რომელიც შენთან გაჩერდა. განა შეიძლება დრომ უმკურნალოს დედის გულს? ასე რად გაგვიმეტა ცხოვრებამ, შვილო. მინდა კიდევ ერთხელ ძლიერად ჩაგიკრა გულში, მოგეფერო, ვიგრძნო შენი სითბო და სიყვარული, მინდა დაგიკოცნო ლამაზი თვალები. მიყვარხარ, ტკივილამდე მიყვარხარ და მენატრები ჩემო სიცოცხლევ.

სიცოცხლის ბედი არ გქონია, შვილო, თორემ სიყვარულის ნიჭი კი მოგცა ღმერთმა. უზომოდ გიყვარდა შენი ოჯახი, შენი საყვარელი ნათია და საფიცარი ლიკა. რომელიც უკვე დიდი გოგოა. შენი შვილი უკვე სტუდენტია, ჩემო ზაზა.

უბედური დედობისთვის ვყოფილვარ გაჩენილი, შვილო. ზღვა ცრემლი ერევა შენს საფლავს შენს გაყინულ სურათს ვეფერები, ვეჩურჩულები, ჩემო ზაზა. მადლობა უფალს, რომ ძალას მაძლევს და ამ საშინელ ტკივილს და მწუხარებას რწმენით და ლოცვით მიმსუბუქებს.

ყველას ძალიან ენატრები ჩემო ზაზა. დაბადების დღეს გილოცავს შენი ოჯახი, ბიძები და ბიძაშვილები, მეგობრები და მეზობლები. მოვლენ შენს საფლავზე, აგინთებენ სანთელს, ჭიქა ღვინოს წაგიქცევენ და უფალს შესთხოვენ, რომ ნათელში ამყოფოს შენი სული.

ღმერთო, გევედრები, სამოთხის პატარა ადგილი დაუთმე ჩემს ზაზას, რათა განისვენოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი ოჯახი

ნანა ბოსტოღანაშვილი

ყველაზე ლამაზო,ყველაზე კეთილო, ამ სიტყვებით მინდა დავიწყო შენი მონატრება, ჩემო დედა. უკვე თერთმეტი წელია, აღარ ხარ ჩვენს გვერდით,მაგრამ შენი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი არასოდეს განელდება ჩემს გულში, ჩემო საყვარელო დედა. 14 იანვარი შენი დაბადების დღეა, 80 წელი შეგისრულდებოდა. აქედან გილოცავთ ყველანი. ჩემო დიდო იმედო, ჩემო დედავ და მამავ, ჩემთვის ყველაფერო, არ ვიცი, კიდევ როგორ გამოვხატო შენი მონატრება. ყველასთვის კეთილო ადამიანო ახლობლებშიც და სოფელშიც. სიტყვა დედის ხსენებაზეც კი ყოველთვის ცრემლები ჩამომდის ჩემო უძვირფასესო და უსაყვარლესო, აქედან გეფერებით.

ნათელში იყოს შენი ლამაზი სული.

დიდი სიყვარულით შენი შვილი მაია, სიძე გოჩა, შვილიშვილები გიორგი და დათო ოჯახებით, შვილთაშვილები გოჩუნა, ნია, თორნიკე, მარიამი.

ნაირა, ანგელინა გორაშვილები, ნელი გობეჯიშვილი , ნანა ლეკაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნაზი მოსაშვილს ძმისშვილის

რობერტი მოსაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნაზი მოსაშვილი და ილია ბიკაშვილი ოჯახით იუწყებიან ძმისშვილისა და ბიძაშვილის

რობერტი მოსაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მშობლებს- როზიზონ და ნინა მოსაშვილებს შვილის გარდაცვალების გამო. დაიკრძალა ქ. კალინინგრადში.

უახლოესი მეზობლები: ჯემალი კოტაშვილი, გია გონაშვილი, ომარი ალადაშვილი, ნოდარი გივიშვილი, გივი ლომიძე თანაგრძნობას უცხადებენ ნაზი მოსაშვილს ძმისშვილის და ილიკო ბიკაშვილს ბიძაშვილის

რობერტი მოსაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: მადლენა ყოჩიაშვილი, ნელი გონაშვილი, ანიკო ცოფურაშვილი, ალიკა სულაშვილი, გენადი ნასრაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნაზი მოსაშვილის ძმისშვილის და ილიკო ბიკაშვილს ბიძაშვილის

რობერტი მოსაშვილის

გარდაცვალების გამო. დაიკრძალა კალინინგრადში.

ვაკანსია

რესტორანს ესაჭიროება გამოცდილი შეფ-მზარეული. საკომუნიკაციო დონეზე უცხო ენების ცოდნით მსურველებმა დარეკეთ:

☎ 599080128

ნაზი მოსაშვილი და ილია ბიკაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ნონა რობიტაშვილს მეუღლის, ქეთინო, ელენე, ნინი და შალვა რობიტაშვილებს მამის , დოდო და ნათელა რობიტაშვილებს ძმის

ნუგზარ რობიტაშვილის

გარდაცვალების გამო. დაიკრძალა 2 იანვარს ქ. თბილისში.

ფატი და ლუიზა ზურაშვილები იუწყებიან ოჯახის მეგობრის ნინა ყოჩიაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მზია ყოჩიაშვილს და ლალი გონაშვილს დედის, ლადო, ნინო და ლევან ივანიძეებს ბებიის

ნინა ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო. დაიკრძალა 1 თებერვალს, ქ. დედოფლისწყაროში.

უახლოესი მეზობლები: ოთარ კიკნაძე, გოდერძი აბულაშვილი, გურამ ნატროშვილი, ვაჟა ნაროზაული, თამაზ ლაპიაშვილი, ლია პოპიაშვილი, ვასილ აბულაშვილი, გოგი გივიშვილი, შალვა იაკობიშვილი, ილია მჭედლიშვილი, ნოდარ გივიშვილი, თადო გონაშვილი, ლევან ხუციშვილი ოჯახებით იუწყებიან

გულივერ ბენაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეზობლები: ვაჟა ნაროზაული, ოთარ კიკნაძე, გოდერძი აბულაშვილი, გურამ ნატროშვილი, თამაზ ლაპიაშვილი, ლია პოპიაშვილი, ვასილ აბულაშვილი, გოგი გივიშვილი, შალვა იაკობიშვილი, ილია მჭედლიშვილი, ნოდარ გივიშვილი, თადო გონაშვილი ოჯახებით იუწყებიან

დავით ხუციშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნანული ნატროშვილი და რუსუდან არაბული თანაგრძნობას უცხადებენ ნაზი მოსაშვილს ძმისშვილის

რობერტის

გარდაცვალების გამო. დაიკრძალა ქალაქ კალინინგრადში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ხელოვნების სკოლის ბუღალტერს მარიკა (ნუნუ) ქუფარაშვილს ძმის

ომარ ქუფარაშვილის

გარდაცვალების გამო.

„იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო“...

„წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე“ მსოფლიოში ცნობილი ღონისძიებაა და მას ყოველწლიურად მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში აღნიშნავენ, ღონისძიებაში მონაწილეთა რაოდენობა 31 მილიონამდე აღწევს.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიზანია, საქართველო აქტიურად შეუერთდეს ამ საერთაშორისო ინიციატივას და გახდეს მსოფლიოს ამ მასშტაბური ღონისძიების ნაწილი, საქართველო და მისი ქალაქები მოხსენიებული იყოს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების გვერდით. ჩაერთოს ბევრი ადამიანი და ვიკითხოთ წიგნი მსოფლიოსთან ერთად.

ეს დღესლოგანით: „იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო“ დედოფლისწყაროს საჯარო ბიბლიოთეკაშიც აღინიშნა. ღონისძიება გახნა ბიბლიოთეკის დირექტორმა მანანა მაჭარაშვილმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა წიგნის კითხვის უალტერნატივობაზე და დამსწრე მოსწავლე ახალგაზრდობას მოუწოდა, რაც შეიძლება მეტად იმეგობრონ წიგნთან, რომელიც ნამდვილად არის ინტელექტუალური რესურსის წყარო და წარმატებული ცხოვრების საძირკველი. სიტყვის დასასრულს მან სიმბოლურად ლევან სანიკიძის „დედა ისტორიიდან“ ქვეთავი წაიკითხა მეფე ერეკლეს გარდაცვალების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ საღამოს მთავარი იდეაც ეს იყო, თითოეულ თანამშრომელს თუ მოწვეულ სტუმარს წილად ხვდა წიგნის კითხვა სხვადასხვა მოთხრობებიდან თუ პოეზიის კრებულებიდან, რომლებიც ძირითადად გოგლა ლეონიძის ავტორობით სჭარბობდა მწერლის საიუბილეო თარიღიდან გამომდინარე. წიგნის კითხვის საღამოზე უფროსებს კითხვაში ენაცვლებოდნენ სხვადასხვა სკოლებიდან მოწვეული, წიგნის მოყვარული მოსწავლეები, რომლებიც არა მხოლოდ კითხულობდნენ, საკუთარი აზრის გამოთქმითაც გაანებივრეს ამ დღის მსმენელი.

შეხვედრის დასასრულს შემაჯამებელი სიტყვა თქვა მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა და მოსწავლე ახალგაზრდობას მოუწოდა , კიდევ მეტად გაეძლიერებინოთ თავიანთი დამოკიდებულება და ინტერესი წიგნისადმი, არამხოლოდ იმიტომ, რომ მას უბრალოდ ვერაფერი ცვლის , არამედ იმიტომაც, რომ ამ ასაკში წაკითხულ წიგნს სულ სხვა ემოცია და სიხარული მოაქვს ადამიანისთვის.

საქართველოში წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე 2020 წლის 5 თებერვალს უკვე მეხუთედ ჩატარდა.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

საჭადრაკო სტარტებზე...

ჩვენი გაზეთის მკითხველმა უკვე კარგად იცის, რომ დედოფლისწყაროში საჭადრაკო კლუბი დაარსებიდან მალე ერთი წლის თავს აღნიშნავს. სპორტის ეს სახეობა რაიონში ათეული წლების განმავლობაში ფსკერზე იყო დაშვებული და მის ამოწევას თუ ვინმე შეძლებდა, უკვე წარმოუდგენელი იყო ჭადრაკის მოყვარულთათვის თუ რიგითი დედოფლისწყაროელებისთვის, მაგრამ ბატონი გოგი კიკილაშვილის ინიციატივით წამოწყებული საქმე დღეს უკვე საკმაოდ კარგ შედეგებს ითვლის და მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ნიჭიერ მოზარდ-ახალგაზრდა თაობასაც მიეცა საშუალება საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენისა. დღეს ერთბაშად მოგიყვებით იმ გამოტოვებულ ტურნირებზე, რომლებიც ამ ერთი თვის განმავლობაში ჩვენს მკითხველს ვერ ვამცნეთ.

გოგი კიკილაშვილი, საჭადრაკო კლუბის ხელმძღვანელი: - ჩემს საუბარს დავიწყებ სასიამოვნო ინფორმაციით: 2020 წლის თებერვლიდან ჩვენი საჭადრაკო კლუბის მასწავლებელს-გიგა ყოჩიაშვილს, დედოფლისწყაროს მერიის (სპორტისა და ახალგაზრულ საქმეთა ცენტრი) გადაწყვეტილებით დაენიშნა ხელფასი. სახელფასო ოდენობის სიმცირის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, ეს მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ჩვენს მუნიციპალიტეტში ჭადრაკის სწავლების პროცესს.

რაც შეეხება საჭადრაკო ცხოვრებას- ბოლო ორ თვეში ორ ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა. 2019 წლის 20-26 დეკემბერს ქ. თბილისში, ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭადრაკში (თითოეულ მოჭადრაკეს ფიქრისთვის 50 წუთი და დამატებით 10 წამი ყოველ სვლაზე). დედოფლისწყაროს საჭადრაკო კლუბიდან მონაწილეობას იღებდა 4 ბავშვი: გიორგი და ნიკოლოზ გველუკაშვილები, დემეტრე ფიროსმანაშვილი და ილია ტოკლიკიშვილი. ექვსდღიანი ტურნირი ჩატარდა 7 ტურად ფიდეს წესების დაცვით. ჩვენი ბავშვები მონაწილეობდნენ ჯგუფში-უ1200. ეს ნიშნავს, რომ ფიდეს რეიტინგით 1200-ზე მეტი ქულების მფლობელებს არ ჰქონდათ უფლება ამ ჯგუფში ეთამაშათ. აღნიშნულ ჯგუფში მონაწილეობას იღებდა 48 მოჭადრაკე, მათგან 32 ფიდეს რეიტინგის მატარებელი იყო. გასაგები მიზეზების (ბავშვებმა მეცადინეობა კლუბში დაიწყეს 7 თვის წინ) გამო ჩვენი პატარა მოჭადრაკეები ურეიტინგოები იყვნენ. ტურნირში მონაწილეობის მთავარი ამოცანა იყო რეიტინგიან ბავშვებთან ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა. ბავშვების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ამოცანას კარგად გაართვეს თავი. ცალკე უნდა გამოვყოთ ილია ტოკლიკიშვილის თამაშების შედეგი: ბოლო ტურის წინ, 6 ტურში მან დააგროვა 5 ქულა (4 გამარჯვება, ორი ყაიმი) და ბოლო -მე-7 ტურში ყაიმის შემთხვევაშიც იგი რეალური კანდიდატი იყო მეორე საპრიზო ადგილისა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამ დროისათვის ილიას მთელ ჯგუფში ჰქონდა ფიდეს კოეფიციენტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. ბოლო ტურის დღეს, 26 დეკემბერს დილით ადრე მივედი (ტური 3 საათზე იწყებოდა) ჭადრაკის სასახლეში და კაბინეტებში უკვე ყველა ,,ტოკლიკიშვილი“-ს ხსენებაში იყო. ყველას აინტერესებდა, როგორ შეძლო აქამდე უცნობმა, ურეიტინგო, დედოფლისწყაროელმა და ჭადრაკის აკადემიის არაწევრმა ბავშვა ასეთი შედეგის დადება?! ცხადია, ილიას ბოლო მატჩი დიდი ყურადღების ცენტრში მოექცა. ვხედავდი რა ამგვარ ინტერესს, ვცდილობდი მატჩამდე ილიას ყურადღება უფრო ჭადრაკის აკადემიურ სეგმენტზე გადამეტანა და ამით გამენელებინა მისი შინაგანი მღელვარება. თუ ილია ასეთი რანგის ტურნირის დებიუტანტი იყო, მეც შესაბამისად მწვრთნელის რანგში ამგვარი სიტუაციის დებიუტანტი აღვმოჩნდი და უნდა ვაღიარო, რომ ძლივს ვერეოდი მოწოლილ განცდებს. სამწუხაროდ, ორივეს გამოუცდელობამ თავისი სიტყვა მაინც თქვა. ,,ბეჭდაუდებელი“ ილია დამარცხდა ბოლო ტურში და მეოთხე ადგილს დავჯერდით.... როგორც წმინდა მამები გვასწავლიან: დამარცხება სიბრძნეს ასწავლის კაცს, ხოლო გამარჯვება ხშირად- ამპარტავნობას. ასე, რომ უფლის ნებით ,,სიბრძნეშემატებული“ ილია ტოკლიკიშვილის თავმდაბლურ გამარჯვებებს ჩვენ მალე ვიხილავთ! და აი, შედეგმაც არ დააყოვნა და 2020 წლის 7 იანვარს, შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ილია ტოკლიკიშვილი ფიდეს დიდი ოჯახის წევრი გახდა- მას მიენიჭა ფიდეს მსოფლიო სარეიტინგო ქულა 1117. ვულოცავ ილიას ამ წარმატებას..... რაც შეეხება სხვა მონაწილეებს: გიორგი გველუკაშვილმა 3,5 ქულა დააგროვა და ეს ნამდვილად არ არის ცუდი შედეგი, თუმცა, უნდა აღვნიშნო მისი წარუმატებლობა ბოლო ტურში- მოსაგები მატჩი წაგებით დაამთავრა. შესაძლებელია, ეს საჭადრაკო მარათონი გამოუცდელი ბავშვებისთვის დამღლელი აღმოჩნდა. 9 წლის დემეტრე ფიროსმანაშვილმაც 3,5 ქულა დააგროვა და იმედია, წარმატებები წინა აქვს. ნიკოლოზ გველუკაშვილმა 2,5 ქულით დაამთავრა ტურნირი.იგი უდაოდ ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ მოჭარბებული ემოციები ხშირად ხელს უშლის გონივრული გადაწყვეტილების მიღებაში. არადა ჭადრაკში, ისე როგორც ყველა სხვა გონივრულ აქტივობებში, ემოციები იმპულსურ ხედვებს აძლიერებს, რითაც ხელი ეშლება საბოლოო, დადებითი შედეგის მიღწევას.

2020 წლის 20-28 იანვარს ქ. თბილისში ჩატარდა სასკოლო ჩემპიონატი 7,9,11 და 13 წლის ასაკის ვაჟებსა და გოგონებს

შორის. ეს იყო რეალურად საქართველოს ჩემპიონატი შესაბამის ასაკში. ამ ტურნირზე გამარჯვებული იღებდა ევროპის და მსოფლიოს ტურნირებზე მონაწილეობის საგზურს და დაფინანსებას. საჭადრაკო პარტიის თვითოელ მონაწილეს 40 სვლისათვის ეძლეოდა 90 წუთი, ხოლო ყოველ სვლაზე დამატებით 30 წამი. ჩვენი საჭადრაკო კლუბიდან 11 წლიან ასაკობრივ ჯგუფში მონაწილეობა მიიღო ილია ტოკლიკიშვილმა. ჩემი წინასწარი პროგნოზით ილია ხუთეულში უნდა შესულიყო. მონაწილეთა მაღალმა რეიტინგებმა (ფიდეს მსოფლიო რეიტინგი- 1867, 1648. 1486 და სხვა) და ილიას გამოუცდელობამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მასზე, თორემ 9 პარტიიდან 8 პარტიაში აშკარა მოსაგები პოზიციებიდან მან მხოლოდ 3 პარტია დაამთავრა მოგებით და საბოლოოდ 3,5 ქულა მოაგროვა. ეს შედეგი ნამდვილად არ არის სახარბიელო ასეთი შესაშური ნიჭის მქონე მოჭადრაკისათვის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ მისი გამოუცდელობა (ჭადრაკის კლუბში მოვიდა 2019 წლის აპრილის თვეში) და მოწინააღმდეგეთა სერიოზული მომზადება. მის ჯგუფში მონაწილეობდნენ 4-5 წლის ხანგრძლივობის და 15-20 ტურნირში გამოცდილების მქონე ბავშვები.ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ტურნირზე ნათლად გამოჩნდა საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ბავშვთა ჭადრაკის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება. ბრწყინვალედ იყვნენ მომზადებულები სამტრედიის, ტყიბულის, ვანის, ამბროლაურის წარმომადგენლები, რომ აღარაფერი ვთქვათ თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და გურჯაანის საჭადრაკო სკოლებზე. მოკლედ, 8 დღის განმავლობაში ჭადრაკის სასახლეში გავხდი მოწმე ბავშვთა გონიერების დემონსტრირებისა და ეს მანიჭებდა წარმოუდგენელ სიხარულს. მაგალითისათვის გეტყვით, რომ 7 წლის ქუთაისელი დავით თათვიძემ (იგი სპეციალურად თამაშობდა მაღალ ასაკში- 9 წლიანებში) და 8 წლის გურჯაანელმა დათა ყალაბეგაშვილმა (ამ პატარა გენიოსს 15 დაფაზე ერთდროული სეანსი დედოფლისწყაროშიც აქვს ჩატარებული) 5 საათი და 10 წუთი ითამაშეს პარტია. დიახ, 5 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა ამ „გიგანტების“ გონებრივი ორთაბრძოლა. აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რა მუხტი სდევდა ამ ტურნირს. ეს მართლა იყო საქართველოს ბავშვთა გონიერების ტრიუმფი!

ბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ტურნირში მონაწილე ბავშვების მშობლებს. ცხადია, რამოდენიმე დღის განმავლობაში, ქ. თბილისში ცხოვრება გარკვეულ ფინანსურ ძალისხმევას საჭიროებს, მაგრამ ბავშვების გონებრივი განვითარებისათვის გაწეული ხარჯი უდავოდ დიდი სიკეთეა. განსაკუთრებით დღეს, 21-ე საუკუნეში, როდესაც სამწუხაროდ, კაცობრიობის უდიდესი ნაწილი ჩართულია ადამიანის რობოტიზაციის კულტივირებაში, როდესაც ცრუფასეულობები დევნიან ჭეშმარიტ ეროვნულ ტრადიციებს, როდესაც ყალბი ღირებულებებით ცდილობენ ახალგაზრდების ცნობიერების დამახინჯებას, ამ დროს ბავშვის გონებრივი განვითარება უფრო აქტუალური ხდება და მჯერა, მოსახლეობის დიდი ნაწილი გაითავისებს ბავშვის გონებრივ აღზრდაში ჭადრაკის როლს და მნიშვნელობას.

ესაუბრა
ელზა ხარაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 10.02	სამშაბათი 11.02	ოთხშაბათი 12.02	ხუთშაბათი 13.02	პარასკევი 14.02	შაბათი 15.02	კვირა 16.02
დღე	−5°	−4°	-5°	0 °	-1°	2 °	1 °
ღამე	−6°	−6°	−7 °	−1°	-2 °	-3 °	-3 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.